



კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა



გამგებლის ბრძანება №975

8 ივნისი 2016 წელი

ქალაქი კასპი

სსიპ ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლის პროექტის შეთანხმების და მშენებლობის წესახებ
გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „ლიცენზიებისა და წებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და საწებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე მუხლის, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გაწვითარების სააგენტოს 2016 წლის 30.03. № 526 მომართვის, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 31 მაისის №002784216 საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვმოყვანებ:

1. შეთანხმებულ იქნეს სსიპ ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლის (საკ. კოდი. №67.01.34.083; 67.01.34.378.) პროექტი;
2. გაიცეს მშენებლობის წებართვა №42 შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;
3. წარმოებულ სამშენებლო სამუშაოებზე კონტროლი დაევალოს კაპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს;
4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონული სასამართლოში (მისამართი ქ. გორი ჯორბერნაძის ქ.№30);

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გორის გორისტაშვილი



კასპის მუნიციპალიტეტი



**მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან
ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვა**

№42

8 ივნისი 2016 წელი

დამკვეთი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

მისამართი: თბილისი. მერბ ალექსიძის ქუჩა №1;

შენობა—ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება: სასკოლო კომპლექსი;

შენობა—ნაგებობის კლასი: IV

მშენებარე ობიექტის მისამართი: ქალაქი კასპი; ტაბიძის ქუჩა №13;

მიწის საკადასტრო კოდი: № 67.01.34.083. №67.01.34.378;

საპროექტო ორგანიზაცია: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

სანებართვო პირობები:

- ა) აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
- ბ) აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დარღვევის გარეშე;
- გ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;
- დ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით;
- ე) უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემისა და ექსტერიერის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;
- ვ) მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში ექსპლუატაციაში მიღებისთვის მომზადებული შენობა—ნაგებობა წარადგინის უფლებამოსილ ორგანოში ექსპლუატაციაში მიღებისათვის;
- ზ) მშენებლობის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის 31.05.№ 002784216 საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის შენიშვნები;
- თ) სათანადო ტექნოლოგით განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნარგავების (11 წიწოვანი, 2 ფოთლოვანი) ადგილმონაცვლეობა;

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა:

01.01.2018 წ.

ნებართვა გაიცა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გოჩა გოჩიტაშვილი